შპს „თერმული წყლები“

№ 11 „18” აპრილი 2022 წ.

შპს „ბი ენდ ჯი ბიზნეს ჯგუფი“-ს
დირექტორს ბ-ნ კ. წულაია

ბატონო კლიმენტი,

გაცნობებთ, რომ შპს „თერმული წყლები“-ს მიერ განხილულ იქნა თქვენი 2022 წლის 10 მარტის განცხადება და წარმოდგენილი ნახაზი, რომლის მიხედვითაც დაგეგმილი გაქვთ, ქ. თბილისში ნუცუბიძის ფერდობი IV მ/რაიონში, 36-ე კორპუსის მიმდებარედ თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.16.008.136) განთავსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გეოთერმული წყლის მილსადების (ს/კ: 01.01.041) წარმოდგენილი წინასწარი პროექტის მიხედვით განხორციელდეს ხაზოვანი ნაგებობის კონფიგურაციის ცვლილება / გადატანა.

მას შემდგომ როდესაც შპს „ბი ენდ ჯი ბიზნეს ჯგუფი“-ს მიერ დასრულდება პროექტის მომზადება, დასრულებული პროექტი საჭიროებს სახელმწიფო ექსპერტიზის გავლას.

შპს „ბი ენდ ჯი ბიზნეს ჯგუფი“-ს მიერ პროექტის შედგენის, ექსპერტიზის გავლის და მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ, მილსადენის კონფიგურაციის ცვლილება უნდა განახორციელოს საკუთარი ხარჯით.

ასევე დაცულ უნდა იქნას უსაფრთხოების ზომები და აღსამართი ნაგებობანი: საცხოვრებელი კომპლექსი, ღობე დაცილებული უნდა იყოს მილსადენიდან მინიმუმ 2 – 4 მეტრით, რომ ავარიის შემთხვევაში შესაძლებელი იქნას სპეც.ტექნიკით ავარიის შედეგების აღმოფხვრა. მილსადენზე არ მოახდინოს შენობა-ნაგებობების აღმართვა, მრავალწლიანი ნარგავების დარგვა.

იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ გათვალისწინებული იქნება ჩვენი მოთხოვნები, შპს „თერმული წყლები“ არ არის წინააღმდეგი, მასზედ, რომ განხორციელდეს ხაზოვანი ნაგებობის კონფიგურაციის ცვლილება, რომელიც დასრულების შემდგომ შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით დაცულ უნდა იქნას საჯარო რეესტრში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შპს „თერმული წყლები“ არ არის წინააღმდეგი, მასზედ, რომ შპს „ბი ენდ ჯი ბიზნეს ჯგუფი“-ს მიერ განხორციელდეს ხაზოვანი ნაგებობის კონფიგურაციის ცვლილება / გადატანა.

პატივისცემით,

დირექტორი Thermal waters LLC Digitally signed by Thermal waters LLC Date: 2022.04.18 11:56:20 +04'00' დემნა დადიანი